სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს
სხდომის ოქმი N1

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 05.06.2019
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:00
მისამართი: თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა, #1 (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი).

საქართველოს განათლების,მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 1 ნოემბრის №386 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა. 2019 წლის 5 ივნისს ჩატარდა აღნიშნული საბჭოს სხდომა.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა პირებმა:

საბჭოს წევრები

1. გიორგი შარვაშიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
2. გიგა ზედანია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
3. როლანდ კოპალიანი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახემწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
4. ზურაბ ვადაჭკორია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი;
5. დავით კერესელიძე - ა(ა)იპ - „ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტის“ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
6. ანი ქიტიაშვილი - ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. ნინო ზამბახიძე - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის დამფუძნებელი;
8. გიორგი ქურდიანი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები

1. გიორგი ვაშაკიძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
2. თამარ მახარაშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
3. ლალი გიორგიძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, გიორგი ვაშაკიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, გააცნო მათ ცენტრი მიერ საკოორდინაციო საბჭოს შექმნის მიზანი, მისი ფუნქციები და წარუდგინა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. საბჭოს თავმჯდომარის არჩევა;
2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) მიერ შედგენილი ანგარიშის და მასში ასახული რეკომენდაციების გაცნობა
3. საბჭოს საქმიანობის შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა

საკითხი 1: საბჭოს თავმჯდომარის არჩევა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, გიორგი ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭო იყო კოლეგიალური ორგანო, რომელიც ცენტრის მმართველობაში წარმოადგენდა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს და ცენტრის მენეჯმენტს მისცემდა რჩევებს ცენტრის საქმიანობასთან მიმართებით. საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციონირებისათვის კი საჭირო იყო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა. მან საბჭოს წევრებს სთხოვა დაესახელებინათ საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატი, რომელიც უხელმძღვანელებდა საკოორდინაციო საბჭოს სხდომებს. სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შარვაშიძე. საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხდომის მდივნის მოვალეობა დაეკისრა გიორგი ქურდიანს.

საკითხი 2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) მიერ შედგენილი ანგარიშის და მასში ასახული რეკომენდაციების გაცნობა

ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლალი გიორგიძემ საბჭოს წევრებს გააცნო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) მიერ განხორციელებული ცენტრის გარე შეფასების შედეგები და ისაუბრა საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისობის მნიშვნელობაზე, ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG-2015).

მან მიმოიხილა რეკომენდაციები, რომლებიც გაცემული იყო ცენტრის მიმართ ENQA-ს მიერ განხორციელებულ ცენტრის გარე შეფასების ფარგლებში (იხ. დანართი 1) და საბჭოს წევრებს გააცნო ცენტრის მიერ დაგეგმილი ცვლილებები ამ რეკომენდაციების შესრულების მიზნით. მან აღნიშნა, რომ ცენტრი გეგმავდა ცვლილების ინიცირებას კანონში, სადაც დეტალურად გაიწერებოდა ცენტრის დირექტორის დანიშვნისა და განთავისუფლების პირობები და წესი, მან ასევე აღნიშნა, რომ ცენტრი გეგმავდა საკოორდინაციო საბჭოს მმართველობით უფლებამოსილების გაზრდას ცენტრის დირექტორის დანიშვნასა და გათავისუფლების, ასევე საბჭოების შერჩევის საკითხებში, რაც განავითარებდა ცენტრის დამოუკიდებლობის ხარისხს.

საკითხი 3. საბჭოს საქმიანობის შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა და ცენტრის მიერ დაგეგმილი ცვლილებები

ცენტრის დირექტორმა, გიორგი ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ ცენტრი გეგმავდა საჭირო ცვლილებების ინიცირებას კანონში. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილი იყო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის გადახედვა და უზრუნველყოფა იმისა, რომ მისი წევრები არ ყოფილიყვნენ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაღალი მმართველი რგოლის წევრებით. საბჭოს წევრებმა ასევე ისაუბრეს საერთაშორისო ექსპერტიზის მქონე პირების რაოდენობის გაზრდაზე საკოორდინაციო საბჭოში და გრძელვადიან პერიოდში საკოორდინაციო საბჭოს მმართველობითი უფლებამოსილების გაზრდის დადებით მხარეებზე.

ცენტრის დირექტორმა ასევე ისაუბრა კლასტერული აკრედიტაციის სისტემაზე გადასვლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ კლასტერული აკრედიტაციის დანერგვის პირობებში, ერთი წლის განმავლობაში აკრედიტაციის პროცესში შეფასდებოდნენ მხოლოდ კონკრეტული სფეროს პროგრამები. შესაბამისად, უნივერსიტეტები კონკრეტულ წელს წარმოადგენენ მხოლოდ კონკრეტული სფეროს/სფეროების პროგრამებს, რაც მათ ფინანსური და ადამიანური რესურსების კონსოლიდაციის შესაძლებლობას მისცემდათ კონკრეტულ სფეროებზე და არა ყველა სფეროს პროგრამებზე. მან აღნიშნა, რომ კლასტერული აკრედიტაციის მოდელი ცენტრს მისცემდა სისტემის დონეზე ცალკეულ დარგებში არსებული მთლიანი სურათის დანახვის შესაძლებლობას. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, ხომ არ გამოიწვევდა კლასტერული აკრედიტაციის სისტემაზე გადასვლა იმ პროგრამების ხელახლა სააკრედიტაციოდ წარმოდგენას, რომელთაც აკრედიტაცია მიიღეს 1 ან 2 წლის წინ. აღნიშნულთან დაკავშირებით გიორგი ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული იქნებოდა კლასტერული აკრედიტაციის განრიგის შემუშავებისას.

ცენტრის დირექტორმა, გიორგი ვაშაკიძემ ასევე ისაუბრა ცვლილების საჭიროებაზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონში, სადაც უნდა ჩაწერილიყო, რომ საერთაშორისო ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისას გამოყენებული იქნებოდა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში მოქმედი, ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის თაობაზე შემუშავებული ევროპული მიდგომები (European Approach), რაც წაახალისებდა და გაამარტივებდა საქართველოსა და ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტების თანამშრომლობას ერთობლივი პროგრამების შემუშავების მიმართულებით.

საბჭოს წევრებმა მოიწონეს ცენტრის მიერ შეთავაზებული დაგეგმილი ცვლილებები და შეთანხმდნენ, რომ შემდეგი შეხვედრა ჩატარდებოდა 2020 წელს, რომლის განმავლობაში ცენტრი საკოორდინაციო საბჭოს წარუდგენდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ანგარიშს.

ხელმოწერები

თავმჯდომარე:

გიორგი შარვაშიძე

მდივანი:

გიორგი ქურდიანი